



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მინისტრი



KA100143373986114

თბილისი

12 / მარტი / 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/199

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 12 მარტის სხდომაზე
მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის N01/779 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების (შემდგომში - დებულება)“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ:

1. დამტკიცდეს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 12 მარტის სხდომაზე (ოქმი N1) მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:
 - ა) გამოცხადდეს კონკურსი სამინისტროს ცენტრალური აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე (დანართი N1-ის შესაბამისად) და სამინისტროსთან არსებული სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსის თანამდებობაზე;
 - ბ) კონკურსი ჩატარდეს ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით;
 - გ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეთათვის გასაუბრების თემატიკის გაცნობა;
 - დ) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 13-22 მარტი;
 - ე) კონკურსანტთა გასაუბრების გრაფიკი განისაზღვროს ცალკე, არაუადრეს 2014 წლის 24 მარტისა;
 - ვ) კონკურსში მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.
2. სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს:
 - ა) კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით),

დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით;

ბ) კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე;


გ) წინამდებარე ბრძანების შესახებ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შეტყობინება.

3. სამინისტროს აპარატმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს სამინისტროს ვებ-გვერდზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.

4. სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



ზურაბ აზმაიფარაშვილი

დანართი N1

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
ვაკანტური თანამდებობები

1	მასობრივი სპორტისა და ღონისძიებების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
2	ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
3	ს.ს.ი.პ. ზავშეთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსი

შეფასების ფორმა

N	კითხვა	კითხვის მიზანი	შეფასება დან 5-ქულამდე
1	სამინისტროს როლი და ფუნქცია	სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის თაობაზე	
2	არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი კვალიფიკაცია	1. თეორიული ცოდნის დონე;	
		2. პრაქტიკული გამოცდილება;	
3	რით არის თქვენთვის საინტერესო ეს საქმიანობა	მოტივაცია	
4	თქვენი უპირატესობა სხვა კონკურსანტებთან მიმართებაში	პრეზენტაბელურობა	

ზოგადი შეფასება -/+	
საუბრობს გასაგებად, აზრს აყალიბებს ლოგიკურად და არგუმენტირებულად	
პასუხობს მშვიდად და დამაჯერებლად	